გოგონათა მოტაცებასთან მიმართებით სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკა უნდა შეიცვალოს

კოალიცია თანასწორობისთვის ეხმიანება მედიაში გავრცელებულ მორიგ ინფორმაციას ქვემო ქართლში არასრულწლოვანი გოგონას ქორწინების მიზნით მოტაცებისა და ფაქტზე პოლიციის სავარაუდოდ არაეფექტური რეაგირების თაობაზე.[1] კოალიციას მიაჩნია, რომ ძალადობის ამგვარი შემთხვევების არსებობა სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგია იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა მსხვერპლებიც ქალები და გოგონები ხდებიან. სახელმწიფოს არაეფექტურობა ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებასთან, გამოძიებასა და დასჯასთან მიმართებით არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს და დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ.[2]

ქალის მოტაცების პრაქტიკა ქორწინების მიზნით, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია, წარმოადგენს ქალებზე ძალაუფლებისა და კონტროლის განმტკიცების საშუალებას, უგულებელყოფს ქალის ნებას და მოიაზრებს მას უუფლებო ობიექტად, ლახავს ქალის სექსუალურ ავტონომიას და რეპროდუქციული არჩევანის გაკეთების უფლებას. ხშირ შემთხვევაში ქორწინების მიზნით გატაცებული ქალები გაუპატიურების

მსხვერპლი ხდებიან და მშობლები უარს ამბობენ მათ უკან მიღებაზე „ოჯახის ღირსების'' დაცვის მიზნით. ვინაიდან ამგვარი დანაშაულების გამო მამაკაცები დაუსჯელები ან რეალური სასჯელის გარეშე რჩებიან, მსგავსი პრაქტიკა განაგრძობს არსებობას და ხშირად საზოგადოების მხარდაჭერასაც იმსახურებს.

სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას პატრიარქატის დამაზიანებელი ჩვეულებები და პრაქტიკა, რომლებიც განამტკიცებენ ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას და რომლებიც ქალთა და გოგონათა მიმართ დანაშაულების მთავარი გამომწვევი მიზეზია. სახელმწიფო ვალდებულია გარდაქმნას საზოგადოებრივი და კულტურული ნორმები, რომლებიც ამართლებს, აკნინებს ან ფარავს ქალთა მიმართ ძალადობას.[3] კოალიციას მიაჩნია, რომ ამ მიზანს სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის მეშვეობით.

როგორც აზერბაიჯანელი თემის წარმომადგენლები მიუთითებენ, აღნიშნულ დანაშაულზე სახელმწიფოს ლიბერალური მიდგომის გაძლიერების ტენდენცია შეიმჩნევა, რომელიც სავარაუდოდ ახალისებს მსგავს პრაქტიკას. სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც დანაშაულზე რეალური სასჯელის შეფარდებას გამორიცხავს (საპროცესო შეთანხმების დადების შედეგად ჯარიმის შეფარდება), არამხოლოდ დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ, არამედ არც გრძელვადიან პერსპექტივაში ემსახურება დანაშაულის პრევენციის მიზანს.

ქალთა და გოგონათა ქორწინების მიზნით მოტაცების (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი)[4] გამოძიება უნდა მოხდეს გენდერული ხედვით და გოგონათა მიმართ ძალადობრივი ტრადიციების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით. ქორწინების მიზნით ჩადენილი დანაშაული უნდა მიიჩნეოდეს, როგორც გენდერული დანაშაული და დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.[5]

კოალიციას მიაჩნია, რომ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის შედეგად ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფო პოლიტიკა ეტაპობრივად უნდა გამკაცრდეს, შეფარდებული სასჯელი გახდეს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული, ემსახურებოდეს მსხვერპლის ღირსების დაცვასა და დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას.

დანაშაულის პრევენციის, გამოძიებისა და დასჯის პროცესში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნიკურ უმცირესობათა განსაკუთრებულ გამოცდილებას დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებით, გენდერული ძალადობის დაფარულ ხასიათს და ძალადობისგან დაცვის საშუალებებზე ნაკლებ ხელმისაწვდომობას.[6] არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ამოსავალი წერტილი

უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების,[7] ღირსებისა და კონფიდენციალობის დაცვა.

კოალიციას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შესაბამისი უწყებების მიერ (მათ შორის, გენერალური ინსპექციის/შიდა აუდიტის სამსახურების მიერ) აღნიშნულ საქმეში პოლიციის, ისევე როგორც სოციალური სააგენტოსა და სკოლის, რეაგირების ეფექტიანობის საკითხი სათანადოდ შეფასდეს და გამოიკვეთოს ის სისტემური ხარვეზები, რომლებიც მსგავსი ინციდენტების სათანადო პრევენციასა და რეაგირებას ართულებს.

ამასთან, გამოვლენილი დანაშაულის სოციალური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ და სოციალურმა სააგენტომ დაგეგმონ შესაბამის რეგიონში საჭიროებებსა და სოციალურ თავისებურებებზე დაფუძნებული ცნობიერების ამაღლების თანმიმდევრული კამპანიები. ამავდროულად არსებითია, შესაბამის საჯარო სკოლებში განხორციელდეს გენდერის, ჯანმრთელობისა და რეპროდუქციულ საკითხებში, ასევე გენდერული ძალადობის შემთხვევაში სამართლებრივი და სოციალური დახმარების სერვისების შესახებ, ცოდნის გაძლიერებაზე მიმართული კომპლექსური ღონისძიებები, რომელმაც უნდა მოიცვას არამხოლოდ სკოლის მოსწავლე ბიჭები და გოგონები, არამედ ასევე მშობლები, სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

კოალიცია თანასწორობისთვის

„კოალიცია თანასწორობისთვის" არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელშეწყობით შეიქმნა და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)", "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", კავშირი „საფარი", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)", "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)" და „იდენტობა".

[1] იხ. goo.gl/v5liLW და http://netgazeti.ge/news/104366/

[2] იხ. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია ქალთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თაობაზე, 23 ივლისი, 2015 წ.: http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_3

[3] იხ. გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი N5 (ა).

[4] სსკ 143-ე მუხლი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე. ქმდება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ - თავისუფლების აღკვეთით 7-დან 10 წლამდე.

[5] სსკ 53.3[1] მუხლის თანახმად დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციის შემცველი მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

[6] იხ. UN Women, ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში, 2014 წ., გვ. 49-50: http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/Ethnic-Minority-Women_Geo.pdf

[7] იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3.1.